პროექტი

საქართველოს კანონი
სოციალური დახმარების სისტემის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტური დახმარებით უზრუნველყოფა.

2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და დანიშვნის ძირითად პრინციპებს.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 3. კანონმდებლობა სოციალური დახმარების სისტემის შესახებ

კანონმდებლობა სოციალური დახმარების სისტემის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „შვილობილად აყვანის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბენეფიციარი – სოციალური დახმარების მიმღები;

ბ) დედობილი/მამობილი – მიმღები ოჯახის წევრი ფიზიკური პირი/შეუღლეები, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით სპეციალური მომზადების გავლის შემდეგ ზრუნვისა და აღზრდისათვის გადაეცათ შვილობილი;

გ) თავშესაფარი – სოციალური მომსახურების მიმწოდებელი იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს უსახლკარო პირებს ღამის სათევითა და საკვებით;

დ) რეინტეგრაცია – სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული პირის ბიოლოგიურ ოჯახში საცხოვრებლად დაბრუნება;

ე) მიმღები ოჯახი – ოჯახი, რომელიც სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს საკუთარ ოჯახში ამ ოჯახის არაწევრი სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ცხოვრებას და ახორციელებს მასზე ზრუნვას;

ვ) მინისტრი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ზ) მთავრობა – საქართველოს მთავრობა;

თ) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი – ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს სოციალური დახმარების მოთხოვნით და წარმართავს მასთან ურთიერთობებს;

ი) სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო";

კ) სამინისტრო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ლ) სოციალური დახმარება – ნებისმიერი სახის ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ღატაკი ოჯახის ან უსახლკარო პირისათვის;

მ) სოციალური დახმარების სისტემა – სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ორგანიზებული ან/და მისი მეთვალყურეობით განხორციელებული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ღატაკი ოჯახის ან უსახლკარო პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ;

ნ) სოციალური მომსახურება – საქმიანობა, რომლის მიზანია არაფულადი სოციალური დახმარების მეშვეობით სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ღატაკი ოჯახის ან უსახლკარო პირის სპეციფიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ო) სოციალური მომსახურების მიმწოდებელი – ადმინისტრაციული ორგანო, ასევე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების მიწოდებას;

პ) სოციალური მუშაკი – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელსაც გამოაქვს დასკვნა მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მინიჭების, შვილად აყვანის, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ზრუნვისა და მზრუნველობამოკლებულ სრულწლოვანებზე ზრუნვის სახეების გამოყენების შესახებ, აგრეთვე მშობლის უფლების ჩამორთმევის ან ამ უფლების ჩამორთმევის გარეშე ბავშვის ჩამორთმევის თაობაზე.

ჟ) სპეციალიზებული დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც სოციალურ მომსახურებას უწევს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებს;

რ) სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი:

რ.ა) ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვი;

რ.ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

რ.გ) ოჯახის მზრუნველობას მოკლებული თვითმომსახურების შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანი;

ს) პრევენცია – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს პირის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების დაცვას და მისი მშობლის მზრუნველობამოკლებულად ცნობის თავის არიდებას;

ტ) უსახლკარო პირი – მუდმივი განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო;

უ) ღატაკი ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ცალკეული პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი მთავრობის მიერ დადგენილ გარკვეულ დონეზე ნაკლებია;

ფ) შეფასების სისტემა – სისტემა, რომლის მეშვეობითაც ფასდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დგინდება მისი კეთილდღეობის დონე;

ქ) შვილობილად აყვანა – ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიზნით სახელმწიფოსა და დედობილ-მამობილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გატარებულ ღონისძიებათა ერთობილობა, რომლის განხორციელებით სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის კანონიერი უფლება;

ღ) შვილობილი – ხელშეკრულების საფუძველზე დედობილ-მამობილისათვის მოსავლელად და აღსაზრდელად გადაცემული ბავშვი;

ყ) შინასამეურნეო საქმიანობა – ოჯახის სასიკეთოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებასა და ერთობლივ განკარგვა-განაწილებას.

მუხლი 5. კანონის ძირითადი პრინციპები

ამ კანონის ძირითადი პრინციპებია:

ა) სოციალური დახმარების, როგორც საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერის და არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების აღიარება;

ბ) სათანადო რესურსების მიზანმიმართული გადანაწილება სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით;

გ) სოციალური მომსახურების ალტერნატიული ფორმების განვითარების ხელშეწყობა.

თავი II. სოციალური დახმარების სახეები

მუხლი 6. ფულადი სოციალური დახმარების სახეები

1. ფულადი სოციალური დახმარების სახეებია:

ა) საარსებო შემწეობა;

ბ) საყოფაცხოვრებო სუბსიდია;

გ) რეინტეგრაციის შემწეობა;

დ) შვილობილობის ანაზღაურება;

ე) სრულწლოვანზე საოჯახო მზრუნველობის ანაზღაურება.

მუხლი 7. საარსებო შემწეობა

1. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობის მიღება.

2. საარსებო შემწეობა წარმოადგენს სოციალურ დახმარებას, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

3. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს მთავრობა.

4. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, ასევე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 8. საყოფაცხოვრებო სუბსიდია

1. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მოთხოვნის უფლება აქვს ოჯახს, რომელსაც არ შეუძლია საყოფაცხოვრებო-კომუნალური ხარჯების ანაზღაურება და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი მთავრობის მიერ დადგენილ გარკვეულ ზღვარზე ნაკლებია.

2. საყოფაცხოვრებო სუბსიდია წარმოადგენს ფულად გასაცემელს, რომელიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების ხარჯების ანაზღაურებისთვის.

3. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობას განსაზღვრავს მთავრობა.

4. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 9. რეინტეგრაციის შემწეობა

1. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს რეინტეგრაციის შემწეობა.

2. რეინტეგრაციის შემწეობა წარმოადგენს სოციალურ დახმარებას, რომელიც ეძლევა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დაწესებულებიდან საცხოვრებლად გაიყვანს და გაუწევს სათანადო მზრუნველობას.

3. რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს მთავრობა.

4. რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, ასევე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 10. შვილობილობის ანაზღაურება

1. შვილობილობის ანაზღაურება მიეცემა დედობილ-მამობილს შვილობილის შენახვისა და აღზრდისთვის გაწეული შრომის ასანაზღაურებლად.

2. შვილობილობის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, ასევე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 11. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება

1. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება მიეცემა მიმღებ ოჯახს, რომელიც სპეციალიზებულ დაწესებულებაში მყოფ სრულწლოვან პირს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად გაიყვანს და გაუწევს სათანადო მზრუნველობას.

2. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობას და გაცემის პერიოდულობას განსაზღვრავს მთავრობა.

3. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 12. არაფულადი სოციალური დახმარება

1. სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი შეიძლება იყოს არაფულადი სოციალური დახმარების მიმღები.

2. პრევენციის მიზნით არაფულადი სოციალური დახმარება შეიძლება გაეწიოს აგრეთვე ბავშვს, რომლის ოჯახში არსებული მდგომარეობა იწვევს მისი მშობლის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებულ წინაპირობას.

3. არაფულადი სოციალური მომსახურების სტანდარტები, აგრეთვე ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც უნდა დადგინდეს ბავშის მზრუნველობამოკლებულად ცნობის რისკის მაჩვენებელი, განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

თავი III სპეციალიზებული დაწესებულება

მუხლი 13. სპეციალიზებული დაწესებულებების საქმიანობა

სპეციალიზებული დაწესებულება ახორციელებს სოციალურ მომსახურებას ბავშვებზე (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და/ან ხანდაზმულებზე სადღეღამისო ან/და დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში.

მუხლი 14. სპეციალიზებული დაწესებულების ლიცენზირება

სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სადღეღამისო სოციალურ მომსახურებას, ექვემდებარება ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. სპეციალიზებული დაწესებულების დაფინანსება და თანადაფინანსება

1. სპეციალიზებული დაწესებულებების დაფინანსების წყარო შეიძლება

იყოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროები.

2. სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან დადგენილი წესით იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენელი მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა სპეციალიზებულ დაწესებულებაში გაწეული მომსახურებისათვის ხორციელდება თანადაფინანსება.

4. სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების, აგრეთვე დაფინანსების (თანადაფინანსების) წესები და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

თავი IV. სოციალური დახმარების სისტემაში მონაწილე მხარეთა კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები

მუხლი 16. სამინისტროს კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები

1. სამინისტრო:

ა) არეგულირებს და კოორდინაციას უწევს სოციალური დახმარების სისტემის ფუნქციონირებას;

ბ) შეიმუშავებს სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების სალიცენზიო პირობებს და ახორციელებს მათი ლიცენზირების ზედამხედველობას

გ) შეიმუშავებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემას, რომელშიც გაითვალისწინება ოჯახის წევრთა რაოდენობა და ოჯახის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრის სპეციფიკური საჭიროებები, აგრეთვე სხვა გარემოებები, რომელიც განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით;

დ) ზედამხედველობს და/ან სახელმწიფო კონტროლს უწევს სოციალური მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტების საქმიანობას;

ე) ამტკიცებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 17. სააგენტოს კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები

სააგენტო, ამ კანონითა და დებულებით მინიჭებული კომპენტენციის ფარგლებში:

ა) წარმოადგენს ცენტრალურ და ადგილობრივ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქართველოს ტერიტორიაზე გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) წარმოადგენს, საერთაშორისო გაშვილების მიზნებისათვის, ცენტრალურ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

გ) აწარმოებს ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას;

დ) ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ოჯახებისთვის გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს;

ე) აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ფულადი სოციალური დახმარების ადმინისტრირებას;

ზ) უზრუნველყოფს სოციალური დახმარების სისტემისა და მისი ფუნქციონირების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას;

თ) უზრუნველყოფს სერტიფიცირებულ სოციალური მუშაკთა სახელმწიფო რეგისტრაციას;

ი) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლება-

მოვალეობებს.

მუხლი 18. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები სოციალური დახმარების სფეროში

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

ა) მონაწილეობენ შეფასების სისტემაში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ბ) უზრუნველყოფენ უსახლკარო პირებს თავშესაფრით;

გ) აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას;

დ) უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სააგენტოსათვის.

2. ადგილობრივი სოციალური პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ამ პროგრამებით ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული სარგებლის შესახებ მონაცემთა სააგენტოსთვის ხელმისაწვდომობას და ამ ინფორმაციის თავსებადობას სააგენტოს მიერ წარმოებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან.

მუხლი 19. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოციალური დახმარების სფეროში კომპეტენტური ორგანოები

1. ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები სოციალური დახმარების სფეროში ახორციელებენ შემდეგ საქმიანობებს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისათვის გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს და ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სააგენტოსათვის;

ბ) უსახლოკარო პირთა რეესტის წარმოებას და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სააგენტოსათვის.

2. ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების გადაცემა დასაშვებია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 20. სოციალური მუშაკი

1. სოციალური მუშაკის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სოციალური მუშაკი საჭიროებს სერტიფიცირებას. სერტიფიცირებას ექვემდებარება პირი, რომელსაც:

ა) გავლილი აქვს უმაღლესი აკრედიტირებული პროგრამა.

ბ) აქვს შესაბამის სფეროში არანაკლებ ერთი წლის მუშაობის გამოცდილება;

გ) ჩაბარებული აქვს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა;

დ) რეგისტრირებულია სააგენტოში სოციალურ მუშაკად.

3. სერტიფირებული სოციალური მუშაკი საჭიროებს ხელახალ სერტიფიცირებას სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სერტიფიცირების წესი და სერტიფიცირების ორგანო განისაზღვრება სამინისტროს ნორმატიული აქტით.

მუხლი 21. ბენეფიციართა უფლება-მოვალეობები

1. ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მიმღები

ვალდებულია დაიცვას შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

2. რეინტეგრაციის შემწეობის მიღებისას ბიოლოგიური ოჯახის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან ერთად ოჯახი იღებს ვალდებულებას დაიცვას ბავშვის უფლებები და უზრუნველყოს მასზე სათანადო ზრუნვა.

3. რეინტეგრაციის შემწეობის მისაღებად ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბიოლოგიური ოჯახი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კარგავს ამ კანონით განსაზღვრული ფულადი სოციალური დახმარების მიღების უფლებას.

თავი V. სოციალური დახმარებითვის მიმართვა და ფულადი სოციალური დახმარების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

მუხლი 22. ფულადი სოციალური დახმარებისთვის მიმართვა

ფულადი სოციალური დახმარებისთვის მიმართვა ხორციელდება სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, წერილობითი ფორმით.

მუხლი 23. გასაჩივრების ზოგადი პრინციპები

1. სოციალური დახმარების დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სოციალური დახმარების დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 24. ფულადი სოციალური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ფულადი სოციალური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თუ:

ა) ადგილი აქვს სოციალური დახმარების მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებით დარღვევას;

ბ) დაშვებულია პროცედურული შეცდომები, რომელთაც შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ მიღებულ გადაწყვეტილებაზე;

გ) სოციალური დახმარების დანიშვნის მოთხოვნაზე რეაგირება გვიანდება დასაბუთებული მიზეზის გარეშე.

2. გასაჩივრება სააგენტოში:

ა) ოჯახს უფლება აქვს გაასაჩივროს სააგენტოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ოჯახის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

ბ) გადაწყვეტილება საჩივრდება სააგენტოს ტერიტორიულ ან ცენტრალურ ორგანოში.

გ) სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს შეუძლია საქმის გადასინჯვის საფუძველზე ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლა ცენტრალურ ორგანოსთან შეთანხმებით. გადასინჯვის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში ტერიტორიული ორგანო ავტომატურად აგზავნის საჩივარს სააგენტოს ცენტრალურ ორგანოში.

დ) სააგენტოს ცენტრალური ორგანო:

დ.ა) ცვლის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებას, თუ სოციალური დახმარების დანიშვნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არ შეეფერება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებელს.

დ.ბ) აუქმებს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას და აბრუნებს განაცხადს წარმოებაში, თუ აღინიშნა პროცედურული შეცდომები;

დ.გ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და ადასტურებს ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას, თუ არ გამოვლინდა შეცდომები დახმარების დანიშვნისა ან პროცედურების წარმოების პროცესში.

დ.დ) სააგენტოს ცენტრალურ ორგანოს გადაწყვეტილება გამოაქვს საჩივრის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. გასაჩივრება სამინისტროში:

ა) ოჯახს შეუძლია სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამინისტროში.

ბ) სამინისტროს მიერ სააგენტოს ცენტრალური ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას.

გ) სამინისტრო უფლებამოსილია:

გ.ა) გააუქმოს სააგენტოს ცენტრალური ორგანოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს განაცხადი წარმოებაში;

გ.ბ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი და დაადასტუროს სააგენტოს ცენტრალური ორგანოს გადაწყვეტილება, თუ საქმის შესწავლით დარღვევები არ გამოვლინდა;

დ) სამინისტროს გადაწყვეტილება გამოაქვს საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

ე) სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 25. სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებისთვის მიმართვა

1. სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებისთვის მიმართვა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული მხარის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

2. დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს:

ა) დაწესებულებაში განთავსების მსურველი პირი;

ბ) დაწესებულებაში განთავსების მსურველი პირის ოჯახის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თუ სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების საჭიროების მქონე პირი მარტოხელაა და არ შეუძლია განცხადების დამოუკიდებლად წარდგენა;

დ) სასამართლო.

3. სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ან თანადაფინანსებით განთავსების შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს.

4. კომპეტენტური ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების შესახებ.

5. კომპეტენტური ორგანო შეიძლება იყოს სამინისტრო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელმაც კომპეტენციების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში დაფინანსება (თანადაფინანსება).

6. ნაპოვნი ბავშვების სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებასთან წარმოშობილი ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

7. სპეციალიზებული დაწესებულებებში ჩარიცხვის, აგრეთვე დაწესებულებიდან გაყვანის წესი, პირობები და კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

თავი VI. სოციალური დახმარების დაფინანსება

მუხლი 26. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროები

1. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;

გ) ადგილობრივი ბიუჯეტი;

დ) ბენეფიციარის ან მისი წარმომადგნელის მიერ გადახდილი თანხები;

ე) შემოწირულობები;

ვ) სხვა წყაროები, რომელიც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით.

2. ფულადი სოციალური დახმარება, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა, მთლიანად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. ამ კანონის მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების პრინციპის გათვალისწინებით, რომლის ოდენობასაც ადგენს მთავრობა.

4. ადგილობრივი სოციალური პროგრამები ფინანსდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან;

თავი VII. გარდამავალი დებულებები

მუხლი 27. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები აქტები

1. მთავრობამ სამი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარების ოდენობების განსაზღვრა.

2. სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით 2007 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს:

ა) „მზრუნველობამოკლებულ სრულწლოვანთა ოჯახურ გარემოში ცხოვრების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მომზადება.

ბ) ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცება;

გ) სპეციალიზებული დაწესებულებების სალიცენზიო პირობების შესახებ კანონპროექტის მომზადება;

დ) ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული სხვა კანონპროექტებისა და ნორმატიული აქტების მომზადება და მიღება (კომპეტენციის ფარგლებში).

მუხლი 28. ზოგიერთი უფლებებამოსილების დელეგირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე

1. ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა (გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა) სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, აგრეთვე ამ სფეროში ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის და სააგენტოსათვის განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოვალეობების შესრულებას 2008 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას არ ვრცელდება ამ კანონის V თავით გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები.

3. საქართველოს მთავრობამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ამ მუხლის პირველი პუნქტით დელეგირებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე გადაცემასთან დაკავშირებით 2007 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებათა გეგმა, რომლის საფუძველზე 2008

წლის 1 ივნისამდე მოხდება დელეგირებული ფუნქციების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე გადაცემა.

4. 2008 წლის 1 ივნისამდე ამ კანონით გათვალისწინებულ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე წარმოადგენენ შესაბამისი განათლების სამინისტროები თავიანთი ტერიტორიული ორგანოებით.

მუხლი 29. სოციალური მუშაკის რეგულირება გარდამავალ პერიოდში

1. ამ კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება უზრუნველყოფილი იქნას არაუგვიანეს 2009-2010 სასწავლო წლის დასრულებისა.

2. 2011-2012 სასწავლო წლის დასრულებამდე სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის სერტიფიცირებული ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით.

3. 2011-2012 სასწავლო წლის დასრულებამდე სერტიფიცირებას ექვემდებარებიან პირები, რომლებსაც არ აქვთ სოციალური მუშაკის აკრედიტებული უმაღლესი განათლება, მაგრამ აქვს შესაბამის სფეროში არანაკლებ 1 წლის მუშაობის გამოცდილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში.

თავი VIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-14 მუხლისა, ამოქმედდეს 2006 წლის 1 ნოემბრიდან.

2. ამ კანონის მე-14 მუხლი ამოქმედდეს 2007 წლის 1 სექტემბრიდან.